ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3069757

ნომერი: AR1473332

თარიღი : 26.01.2017

გაცემის თარიღი : 03.02.2017

გაცნობის თარიღი : 06.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , კახეთის გზატკეცილი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია გრიგოლია პ/ნ 01001010639
- გლდანი 2მ/რ,24ბ,კორ

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2013 წ. №952456 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 26.01.2017 წ. №AR1473332 განცხადებით სამსახურს მომართა ია გრიგოლიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2013 წ. №952456 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2013 წ. №952456 გადაწყვეტილებით, #01.19.15.008.001 საკადასტრო ერთეულზე, მსუბუქი კონსტრუქციის დამხმარე შენობა–ნაგებობების განთავსების მიზნით, დამტკიცდა

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. სამსახურის 01.11.2016 წლის №2920689 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2013 წ. №952456 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: მსუბუქი კონსტრუქციის დამხმარე შენობა–ნაგებობები და სამრეწველო საწყობი.
საჯარო რეესტრში დაცული მონაცემებიდან (საკადასტრო კოდი №01.19.15.008.061, ფართობი 9402 კვ.მ., საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის ნომერი №882017033359, რეგისტრაციის თარიღი 25/01/2017 წ. ამონაწერი: განცხადების რეგისტრაცია:№882017033359, მომზადების თარიღი: 25/01/2017 11:10:04) დგინდება, რომ შეიცვალა საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები, მიწის ნაკვეთის ფართობის უცვლელად.
განმცხადებელი ითხოვს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში აღნიშნული ცვლილების შეტანას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2013 წ. №952456 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს - №01.19.15.008.061;

2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2013 წ. №952456 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და მიწის ნაკვეთის ძველი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შეიცვალოს ახალი საკადასტრო გეგმით და ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი №01.19.15.008.061, ფართობი 9402 კვ.მ., საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის ნომერი №882017033359, რეგისტრაციის თარიღი 25/01/2017 წ. ამონაწერი: განცხადების რეგისტრაცია:№882017033359, მომზადების თარიღი: 25/01/2017 11:10:04);

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2013 წ. №952456 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და სამსახურის 01.11.2016 წლის №2920689 ბრძანებასთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.